კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:
ქ. თბილისი, მთაწმინდა, 8 მარტის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.05.004.092) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საგანი:
განხორციელებული სამუშაოები; პროექტის კორექტირება; მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მდგომარეობა და მათზე გავლენა მშენებლობის პროცესში

არსებული მდგომარეობით მშენებარე ობიექტზე აშენებულია მონოლითური რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციების (საძირკვლები, სვეტები, კოჭები, კედლები, გადახურვის ფილები) ნახევარზე მეტი. კერძოდ მთლიანად დასრულებულია საძირკვლების, ქვაბულის გამაგრებების და საყრდენი კედლების მშენებლობა.

მშენებლობის პროცესში მოხდა კონსტრუქციების პროექტის ლოკალური კორექტირება და, მასთან შესაბამისი მშენებლობის წარმოება. კორექტირება-ცვლილებები შეეხო შემდეგ პოზიციებს:

1) ქვედა ბლოკში შეიცვალა კიბის უჯრედის განლაგება-ფორმა;
2) ზედა ბლოკში დაემატა კიბის უჯრედი;
3) ზედა ბლოკში შეიქმნა დამატებითი ქვედა სივრცე (სართული);
4) შეიცვალა აბსოლუტური და სართულების სიმაღლის ნიშნულები.

ყველა აღნიშნული პოზიცია ასახულია კონსტრუქციების საანგარიშო მოდელში და შესაბამისად კორექტირებულ კონსტრუქციების მუშა დოკუმენტაციაში. კონსტრუქციული თვალსაზრისით ცვლილებები უმნიშვნელო ხასიათისაა და არ ახდენენ უარყოფით გავლენას თავდაპირველ საპროექტო გადაწყვეტებზე.

რაც შეეხება მომჯნავე შენობა-ნაგებობების დღეის მდგომარეობას, ის უცვლელია და მშენებლობის შემდგომი წარმოების პროცესშიც ვერ შეიცვლება. ამისი მთავარი არგუმენტებია:

1) დასრულებულია საძირკვლების და გრუნტის გამაგრებების სამუშაოები;
2) როგორც მომიჯნავე, ასევე საპროექტო შენობები დაფუძნებული არიან ძირითად ქანებზე - კლდოვან გრუნტებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა:

- უკვე განხორციელებული მშენებლობა შესრულებულია კორექტირებული პროექტის საფუძველზე, რომელიც აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს;

- მშენებლობის შემდგომი წარმოება არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების მდგრადობა-მზიდუნარიანობაზე;

მშენებლობის ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტ.მ.დ. ე.წოწერია
საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი



თბილისი 28-09-2022